

ტრენინგ მოლუღი ჰოლიციელთათვის

რესურსი



ტრენინგ მოდული

პოლიციელთათვის
ოჯახში ძალადობის საკითხებზე

ავტორთა გავუფი:

მარინა მესხი

ირმა ალადაშვილი

კობა ბოჭორიშვილი

2010 წელი

ამ პუბლიკაციაში ჩამოყალიბებული შეხედულებები განხილულ უნდა იქნას როგორც ავტორთა შეხედულებები და არა როგორც გაეროს მოსახლეობის (UNFPA) ფონდის და ნორვეგიის მთავრობის შეხედულებები

დამატებითი ინფორმაციისთვის ტრენინგ მოდულის შესახებ მიმართეთ: გაეროს მოსახლეობის ფონდის საქართველოს ოფისი, ერისთავის ქუჩა 9, ტელ: (995 32) 25 11 26

ადამიანთ ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი, წერეთლის 144, ტელ: (995 32) 140 - 110
გამოცემის ელექტრონული ვერსია: www.genderbasedviolence.ge

დაბეჭდილია: “ შპს ფაუნტეინ ჯორჯია”

ISBN 978-9941-0-3289-9

შინაარსი

წინასიტყვაობა	7
ტრენინგის ზოგადი მიმოხილვა და განსახილველი საკითხები.....	4
რეკომენდებული აუდიტორია და გამოცდილება.....	4
ტრენინგის მიზანი	5
ტრენინგის პროგრამა	11
ტრენინგის შეფასება	49
გამოყენებული ლიტერატურა	50

I. ტრენინგის ზოგადი მიმოხილვა

1. ოჯახში ძალადობის საკითხები პოლიციის თანამშრომელთა ცოდნის გასაღრმავებლად:
 - ოჯახში ძალადობის დინამიკა;
 - საქართველოში ოჯახში ძალადობის შესახებ კანონმდებლობის შემუშავებისა და მის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხების განხილვა;
 - ადმინისტრაციული, სამოქალაქო და სისხლის სამართლის კანონმდებლობის საკითხები და ოჯახში ძალადობასთან ბრძოლის მექანიზმები.

II. განსახილველი საკითხები:

1. ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ოჯახში ძალადობის ძირითადი მახასიათებლები;
2. ძალადობის ბორბალი;
3. მოძალადის მიტოვების ბარიერები;
4. საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის სფეროში:
 - ა) ოჯახში ძალადობის დეფინიცია;
 - ბ) მსხვერპლი და მოძალადე;
 - გ) ოჯახის წევრი;
 - დ) ძალადობის ფორმები (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური და იძულება);
 - ე) დამცავი და შემაკავებელი ორდერები;
 - ვ) ძალადობა ოჯახში და არასრულწლოვნები
5. პოლიციის როლი ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით;
6. პოლიციის მიერ პრობლემის გადაჭრის გზები;
7. ოჯახში ძალადობის საკითხებზე ინსტიტუციური მექანიზმები საქართველოში და მათი როლი;
8. ეროვნული რეფერალური მექანიზმი;
9. ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა;
10. "Case Study" ანუ შემთხვევების განხილვა.

III. რეკომენდებული აუდიტორია და გამოცდილება

- ა) სწავლება განკუთვნილია პოლიციის თანამშრომლებისათვის.

- ბ) არსებითად მნიშვნელოვანია არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება იმ რეგიონების პოლიციის თანამშრომლებისათვის, რომელთაც შემაკავებელი ორდერის გაცემის გამოცდილება არა აქვთ.

IV. ტრენინგის მიზანი

1. ტრენინგის მიზანია, პოლიციის თანამშრომლებისთვის ოჯახში ძალადობის პრობლემატიკის გაცნობა, ამ თემაზე ინფორმაციის მიწოდება და არსებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება. ყურადღება გამახვილდება შემდეგ საკითხებზე:
 - ა) ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ძირითადი მახასიათებლები;
 - ბ) საქართველოს კანონმდებლობა ოჯახში ძალადობის სფეროში;
 - გ) დამცავი და შემაკავებელი ორდერები;
 - დ) ძალადობა ოჯახში და არასრულწლოვნები
 - ე) პოლიციის როლი ოჯახში ძალადობის საქმეებთან დაკავშირებით და მის მიერ პრობლემის გადაჭრის გზები;
 - ვ) ეროვნული რეფერალური მექანიზმი;
 - ზ) ოჯახში ძალადობის მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა.
2. შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება, რაც მოიცავს
 - ა) ოჯახში ძალადობის შემთხვევების დროს მსხვერპლ(ებ)თან, მოძალადე(ებ)თან და არასრულწლოვნებთან ურთიერთობას;
 - ბ) დაკითხვის მეთოდებს;
 - გ) შემაკავებელი ორდერის გამოცემისა და მისი სასამართლოში დამტკიცებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებს;
 - დ) შემაკავებელი ორდერით გასათვალისწინებელი საკითხების მართებულად განსაზღვრის საჭიროებებს;
 - ე) შემაკავებელი და დამცავი ორდერის დარღვევის შემთხვევებში რეაგირების აუცილებლობას.

4. ტრენინგის მასალები

1. ტრენინგის ზოგადი დახასიათება და დღის წესრიგი (Microsoft Word-ის ან Publisher-ის დოკუმენტები): მოიცავს კურსის დახასიათებას მითითებულ ფორმატში.

2. ტრენინგის ვიზუალური პრეზენტაცია (Microsoft Powerpoint)
 - ა. მოიცავს ტრენინგის მთლიან დახასიათებას და დღის წესრიგს, უფრო დეტალურია, ვიდრე ზოგადი დახასიათება და დღის წესრიგი;
 - ბ. როგორც წესი, გამოყენებული იქნება ცალკე პროექტორი ან კომპიუტერის პროექტორი, რათა მონაწილეებს სრულყოფილი წარმოდგენა შეეუქმნათ სწავლების ამ კურსის შესახებ, ანუ ჩავატაროთ პრეზენტაცია;
3. ტრენინგის კურსის “ჰენდაუტები” ანუ თემატური მასალები (Microsoft Word-ის ან Publisher-ის დოკუმენტები)
 - ა) შემაკავებელი და დამცავი ორდერების ნიმუშები.
 - ბ) ოჯახში ძალადობის საკითხებზე კანონმდებლობა
 - გ) “Case Study” ანუ შემთხვევების განხილვა
4. საინფორმაციო რესურსების ჩამონათვალი და ბიბლიოგრაფია (მონაწილეთა უზრუნველყოფა დამატებითი რესურსებით მნიშვნელოვანია მათთვის, ვისაც სურს ან სჭირდება მეტი ინფორმაციის მოპოვება – წიგნები, სტატიები, ვებ-გვერდები და სხვა).

წინასიტყვაობა

დღეს საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებულია, რომ ოჯახური პრობლემები მხოლოდ ოჯახის წევრებს არ ეხებათ და ძალადობა, ის ოჯახში მოხდება თუ ოჯახს გარეთ, აუცილებლად უნდა აღიკვეთოს. შესაბამისად, ბევრმა სახელმწიფომ ამ პრობლემის სამართლებრივ ჩარჩოებში მოსაქცევად სპეციალური კანონმდებლობები შექმნა ან უკვე არსებულ კანონმდებლობებში შეიტანა ცვლილებები. “ოჯახში ძალადობის” დეფინიცია მრავალი ქვეყნის კანონმდებლობაში, მათ შორის, საქართველოს კანონმდებლობაშიც გაჩნდა. აღნიშნულმა დეფინიციამ ოჯახში ძალადობა აღიარა ისეთ ქმედებად, როცა სახელმწიფო ვალდებულია პრობლემის პრევენციისათვის გარკვეული ღონისძიებები გაატაროს და, შესაბამისად, ოჯახში ძალადობის მსხვერპლი/მსხვერპლები და მასზე დამოკიდებული პირები შემდგომი ძალადობისგან დაიცვას. სახელმწიფომ საზოგადოების წინაშე ვალდებულება იკისრა, ებრძოლოს ძალადობას ოჯახში და იზრუნოს მისი პრევენციისათვის.

სამართალდამცავი ორგანოების როლი ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლაში უკანასკნელი ოცი წლის განმავლობაში რადიკალურად შეიცვალა. პოლიციამ გააცნობიერა რა ამ სამართალდარღვევის არსი, შეცვალა თავისი დამოკიდებულება პრობლემისადმი და პრიორიტეტი მსხვერპლის უსაფრთხოებას მიანიჭა.

წინამდებარე უნიფიცირებული ტრენინგ მოდული შედგენილია მულტი-დისციპლინური ექსპერტების მიერ. იგი შემუშავდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პროექტის „დევნილები და ოჯახში ძალადობა“ ფარგლებში და 2010 წელს ახალი კანონმდებლობის შესაბამისად განახლდა გაეროს მოსახელობის ფონდის პროექტის „დავძლიოთ გენდერული

ძალადობა ამიერკავკასიაში“ ფარგლებში. ტრენინგ მოდული განკუთვნილია საქართველოს სამართალდამცავთათვის და მოიცავს ინფორმაციას საქართველოს კანონმდებლობით რეგულირებულ ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ ღონისძიებათა შესახებ. მასში კვალიფიციურად არის განმარტებული ოჯახში ძალადობის არსი და მისი გამოხატვის ფორმები. განხილულია საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ძალადობის გამოვლენისა და აღკვეთის მექანიზმები. სათანადო ყურადღება აქვს დათმობილი პრევენციულ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება აუცილებლად შეამცირებს ოჯახში ძალადობის შემთხვევებს და თავიდან აიცილებს მძიმე შედეგებს.

ვფიქრობთ, რომ ქართულ სპეციფიკაზე მორგებული ტრენინგ მოდული მნიშვნელოვანი ნაბიჯია ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის თვალსაზრისით.

ტრენინგის დღის წესრიგი

(ტრენინგის ხანგრძლივობა 1 დღე (10.00 – 18.00))

- 10:00 – 10:15** მისალმება, მონაწილეებისა და ფასილიტატორების გაცნობა/წარდგენა, მოლოდინები; ტრენინგის მიზნის გაცნობა (15 წუთი)
- 10:15 – 10:30** ინტერაქტივი: რას გულისხმობს ოჯახში ძალადობა? თქვენი გამოცდილება ოჯახში ძალადობის შემთხვევებთან დაკავშირებით? რამდენად ხშირად გაქვთ შეხება ამგვარ შემთხვევებთან? (15 წუთი)
- 10:30 – 11:15** ოჯახში ძალადობის გამომწვევი მიზეზები და ოჯახში ძალადობის ძირითადი მახასიათებლები (ოჯახში ძალადობის დინამიკა, ძალადობის ბორბალი, ვიქტიმიზაცია) (45 წუთი)
- 11:15 – 11:30** შესვენება
- 11:30 – 13:00** საქართველოს კანონმდებლობის მიმოხილვა: (1,5 საათი); ოჯახში ძალადობის დეფინიცია; მსხვერპლი და მოძალადე; ოჯახის წევრის ცნება; ძალადობის ფორმები (ფიზიკური, ფსიქოლოგიური, ეკონომიკური, სექსუალური და იძულება)
- 13:00 – 14:00** სადილი
- 14:00 – 14:20** ძალადობა ოჯახში, გავლენა არასრულწლოვანებზე (20 წუთი)
- 14:20 – 15:10** ოჯახში ძალადობა და პოლიციის როლი ოჯახში ძალადობის პრევენციის საქმეში (50 წუთი)
- 15:10 – 15:45** შუამავებელი ორდერისა და ოქმის განხილვა (35წუთი)

15:45 – 16:00 შესვენება

16:00 – 17:00 პრაქტიკული მუშაობა, შემთხვევების განხილვა, შემაჯავებელი და დამცავი ორდერების შევსება (1 საათი)

17:00 – 17:30 ეროვნული რეფერალური მექანიზმი (ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის, მისი პრევენციისა და ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და რეაბილიტაციის პროცესში მონაწილე სუბიექტები); მსხვერპლის სტატუსის განსაზღვრა: პოლიცია, სასამართლო, მსხვერპლის სტატუსის იდენტიფიცირების ჯგუფი

17.30 – 18.00 შეჯამება, შეფასება, დახურვა;

